ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37222023**
თარიღი:**21/07/2022**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩისათვის ,,თამარ მეფის ქუჩა" სახელის მინიჭების შესახებ.

2021 წლის 19 აგვისტოს დაბა ურეკში მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გაიმართა უსახელო ქუჩისათვის ,,თამარ მეფის ქუჩა" - სახელის მინიჭების ინიციატივის საჯარო განხილვა. აღნიშნულ საჯარო განხილვას წინ უსწრებდა საკრებულოს წევრების, მუდმივმოქმედ კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის წევრების, საზოგადოების წარმომადგენლებთან და ადგილობრივი მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებთან (უსახელო ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქუჩების მცხოვრებლებთან) შეხვედრა კონსულტაციები.

ზემოთ აღნიშნული შეხვედრისას უსახელო ქუჩისათვის სახელდების სხვადასხვა ვარიანტის განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, კომისიამ დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებულ უსახელო ქუჩას, თანდართული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად ეწოდოს ,,თამარ მეფის ქუჩა".

2. დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩის ,,თამარ მეფის ქუჩა" - სახელდების შესახებ საჭირო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო სტრუქტურებს.

ზემოთ აღნიშნული უსახელო ქუჩისათვის ,,თამარ მეფის ქუჩა" - სახელის მინიჭება განაპირობა:

1, უსახელო ქუჩის მაცხოვრებლებისა და იქ განთავსებული ობიექტების

მესაკუთრეთა კატეგორიულმა მოთხოვნამ.

შენიშვნა: უსახელო ქუჩისსათვის ,,თამარ მეფის ქუჩა"-ს სახელწოდების მინიჭბის მოსახელობასთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, საკრებულოს წევრებთან გამართული კონსულტაციების პროცესში ფიქსირდებოდა მოსაზრებები ზემოთ აღნიშნული ქუჩისათვის სხვა სახელის მინიჭების შსახებ. მაგრამ, სხვა ვარიანტი საჯარო განხილვაში არც ერთ მონაწილეს არ დაუფიქსირებია.

2. საბოლოოდ, ზემოთ აღნიშნულისა და ადგილობრივი მოსახლეობის კატეგორიული მოთხოვნის ურთიერთ შეჯერების შდეგად კომისიამ მხარი დაუჭირა უსახელო ქუჩისათვის ,,თამარ მეფის ქუჩა“ - ის სახელის მინიჭებას.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი